ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1-71

16 10 2023 წ.

ქ. გორი

„სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" რექტორის 2023 წლის 18 აპრილის N1-27 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" შე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსისა (10.10.2023. №1333797) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (13.10.2023. N1372193) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" რექტორის 2023 წლის 18 აპრილის N1-27 ბრძანების დანართში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართის მე-8 და მე-14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „8. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა 2023 წლის **03 ნოემბრის** ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე conference@gu.edu.ge უნდა წარმოადგინოს:
ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1 / დანართი 2–ის შესაბამისად;
ბ) სამეცნიერო ნაშრომი";

ბ) „14. კონფერენცია ჩატარდება 2023 წლის **21 ნოემბერს** ჰიბრიდულ რეჟიმში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირდაპირი შეხვედრის და ზუმის (Zoom) ონლაინ პლატფორმის გამოყენებით"

2. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.
3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის

რექტორი გიორგი სოსიაშვილი